რუსუდან თედორაძე
ბუნებისმეტყველების კონსულტანტი
სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

მასტერკლასი ბუნებისმეტყველებაში:
„ბუნებისმეტყველების სწავლების სტრატეგიები და შეფასება"

მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის ერთ-ერთი ამოცანა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სტიმულირებაა. პროფესიული განვითარებისაკენ მიმართული აქტივობები განსაკუთრებით ეფექტიანია მაშინ, როცა ისინი ეფუძნება მასწავლებელთა კონკრეტულ პროფესიულ და საგნობრივ საჭიროებებს მოცემულ მომენტში.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ჩაატარა კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სერვისების დაგეგმვის ხელშეწყობა/მხარდაჭერა მათივე საჭიროებებზე (როგორც საგნობრივი, ასევე პროფესიული) დაყრდნობით. კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა პედაგოგთა სხვადასხვა საჭიროება.

მათი გათვალისწინებით გთავაზობთ მასტერკლასს ბუნებისმეტყველების მასწავლებლებისათვის - „ბუნებისმეტყველების სწავლების სტრატეგიები და შეფასება".

მასტერკლასის შედეგად:

- პედაგოგები გაეცნობიან შეფასების კრიტერიუმებს ბუნებისმეტყველებაში
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლის მოტივაციისთვის სხვადასხვა
- ხერხის გამოყენებას.
- გაეცნობიან და პრაქტიკულად განახორციელებენ შეფასების სქემების/რუბრიკებისა და დაკვირვების ოქმების შედგენას.

მასტერკლასი განკუთვნილია ბუნებისმეტყველების მოქმედი პედაგოგებისთვის. მონაწილე პედაგოგთა რაოდენობა 20-25 პედაგოგი.